საქციო საზოგადოება „ენერგოკავშირი” წესდება

I ზოგადი დებულება

1.1. სააქციო საზოგადოება „ენერგოკავშირი”, წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება. შემდგომში მოხსნიებული, როგორც „საზოგადოება”

1.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა: სააქციო საზოგადოება „ენერგოკავშირი”

საზოგადოების იურიდიული მისამართია; საქართველო, ქ. თბილისი მუხიანის 1 მ/რ კორპუსი N13

II საზოგადოების იურიდიული სტატუსი

2.1 საზოგადოება საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონდებლობისა და კერძო სამართლის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით.

2.2 საზოგადოებას წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად უფლება აქვს თავისი სახელით დადოს სამლოქალაქო სამართლებრივი გარიგებები. შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამრთლოში მათ შორის საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

2.3 საზოგადოება საკუთარი ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს ქონების დანიშნულებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

2.4 საზოგადოებას უფლება აქვს შექმნას ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახსნას ანგარიშები საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში.

2.5 საზოგადოება უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ან განსხვავებული სახის სხვა საზოგადოების საქმიანობაში, შეიძინოს ასეთივე ან მსგავსი მიმართულების მქონე საწარმოები.

2.6 საზოგადოებას აქვს ბეჭედი, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, შტამპი საფირმო სიმბოლიკა, სავაჭრო ნიშნები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

III საზოგადოების საქმიანობის საგანი

3.1 საზოგადოების საქმიანობის საგანია:
ბუნებრივი გაზის შეძენა, ტრანსპორტირება, მიწოდება, განაწილება და დისტრიბუცია;
ბუნებრივი გაზის ქსელის მშენებლობა, ექსპლოატაცია;
კონსალტინგი;
საბილინგო სისტემის შემუშავება და დანერგვა;
სალიზინგო საქმიანობა;
მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტება, მშენებლობა;
გამათბობელი სისტემების (მათ შორის არატრადიციული ენერგიით) დაპროექტება, მშენებლობა და დანერგვა;

3.2 საზოგადოებას წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული, ხოლო იმ საქმიანობას, რომელზეც არსებობს შეზღუდვები განახორციელებს შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემდეგ.

IV საზოგადოების საქმიანობის ხანგრძლივობა
სამეურნეო წელი

4.1 საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4.2 საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. პერიოდი საზოგადოების რეგისტრაციიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე ითვლება ერთ სამეურნეო წლად.

V საზოგადოების საწესდებო კაპიტალი

5.1 საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარს, რომელიც დაყოფილია 105 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად.

5.2 თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.

5.3 საწესდებო კაპიტალის ნახევარი „მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად შეტანილია არაფულადი შენატანის სახით. საწესდებო კაპიტალის შეუვსებელი ნაწილი შეიძლება შეივსოს, როგორც ფულადი ისე არაფულადი შენატანებით.

5,4 შენატანი წარმოადგენს უძრავ ქონებას (არასაცხოვრებელ ფართს), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მუხიანის 1 მ/რ. კორპ-13, რეგისტრირებულია ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტში, რაც დადასტურებულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაციის N 22511/2003 09.07.2003; სარეგისტრაციო ნომერი 1/11/13/2/11). გაცემული 10.10.2003წ მახასიათებლები: არასაცხოვრებელი ფართი – 186,47 კვ.მ. სარდაფი – 124,04 კვ.მ.

5.5 შენატანი შეფასებულია საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიის მიერ (ლიცენზია NზO-060) 52 000 (ორმოცა თორმეტი ათას ხუთასი) ლარად საექსპორტო დასკვნა 10/10/03

VI სააქციო საზოგადოების აქციათ რეესტრი

6.1 საზოგადოება აწარმოებს აქციათა რეესტრს. აქციათა რეესტრი ადასტურებს აქციონერის საკუთრების უფლებას აქციაზე.

6.2 აქციათა რეესტრი მოიცავს საზოგადოების ყველა სადამფუძნებლო დოკუმენტს, რომელშიც აისახება საზოგადოების წესდება, აღირიცხება რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია და ყოველი აქცია.

6.3 საზოგადოების რეესტრში გაკეთებულ ყოველ რეგისტრაციას ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი.

6.4 იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების აქციონერთა რიცხვი ასზე მეტი გახდება, მაშინ აქციათა რეესტრის წარმოება განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ.

VII აქციათა სახეები, ფასიანი ქაღლადების სხვა ფორმები

7.1 საზოგადოება უშვებს ჩვეულებრივ აქციებს სახელობითი აქციების სახით, რომელიც ფიქსირდება საზოგადოების აქციათა რეესტრში რეგისტრაციის მეშვეობით და სანოტარო წესით დამტკიცებული ხელშეკრულების სახით.

7.2 საზოგადოების აქციების ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ აქციების გასხვისებისას საზოგადოების ნებართვა საჭირო არ არის.

7.3 საზოგადოებას შეუძლია საქართველოს მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად მოახდინოს აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება, მას უფლება აქვს გამოუშვას წარმომდგენისა და სახელობითი სახის ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, კონვერსიული სესხის ობლიგაციები და სხვ.)

7.4 საზოგადოების აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები გაიცემა სულ ცოტა ნომინალურ თანხად. ნომინალზე მეტი ღირებულების შემთხვევაში ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ ნამატი თანხა რჩება და იგი მიემატება სარეზერვო ფონდს. იგივე წესი მოქმედებს არაფულადი შენატების დროსაც, რომელთა თანხა აღემატება ნომინალურ ღირებულებას.

VIII აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

8.1 აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის, თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს, თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილონ დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.

8.2 აქციონრებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათ განთავისუფლებას საქმიანობიდან.

8.3 აქციონერთა მთავარი მოვალეობაა გადაიხადონ შესატანი განსაზღვრული აქციების მისაღებად.

8.4 აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულებების შესაბამისად.

IX საერთო კრება

9.1 საერთო კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ და იღებს გადაწყვეტილებას გენერალური დირექტორის ანგარიშების, წლიური ბალანსის, შემდგომი წლის ფინანსური გეგმის „სამუშაო პროგრამის” და სხვა საკითხების შესახებ. რიგგარეშე კრებები შეიძლება მოწვეულ იქნას იმდენად სწრაფად, რამდენადაც საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვენ.

9.2 საერთო კრება ტარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე. თუკი კრების ამ ადგილას ჩატარებას რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები შეხვდა, მაშინ იგი შეიძლება სხვა ადგილას იქნას მოწვეული.

9.3 საერთო კრებაზე აქციონრების მოწვევა ხდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აქციონერთა მოწვევა ხორციელდება დაზღვეული წერილის, ფაქსის ან ტელეგრაფის მეშვეობით კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. თითოეული აქციონერის მიმართ გაგზავნილ მოსაწვევს თან ერთვის აღნიშვნა კრების ჩატარების ადგილის, დღის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე, გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს

რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მისაღებად. ვადის მიმდინარეობა აითვლება ფოსტაში წერილის ჩაბარების მომდევნო დღიდან. კრების ჩატარების დღე გამოსაანგარიშებელ ვადაში არ ითვლება.

9.4 საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, თუკი იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს. თითოეულ აქციონერს, რომელიც ფლობს საწესდებო კაპიტალის 5 %-ზე მეტს, აქვს უფლება მოითხოვოს კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლის მითითებით. თუ გენერალური დირექტორი 20 დღის ვადაში არ მოიწვევს, მაშინ აქციონერს, საქმის გარემოებიდან გამომდინარე შეუძლია მიმართოს საზოგადოების ადგილსამყოფელის სასამართლოს.

9.5 საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოწვეული იმ შემთხვევაში თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის 25% დაკარგოს.

9.6 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონრები. თუ კრებაზე ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონრები არ გამოცხადდნენ, მაშინ არსებული მიზეზების გათვალისწინებით მოწვეულ უნდა იქნეს ახალი კრება იგივე დღის წესრიგით, რიგითი კრების მოწვევის თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა.

9.7 ყოველ აქციონერს უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე დაბრკოლება არსებობს, კრებაზე წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს. წარმომადგენლობა უწინარეს ყოვლისა შესაძლებელია მეორე აქციონერის მიერ განხორციელდეს. წარმომადგენლობა შეიძლება დაევალოს ადვოკატებს, საგადასახადო საქმეთა კონსულტანტებს ან სხვა პირებს, თუკი ისინი იმავდროულად საზოგადოების რაიმე შეკვეთას არ ასრულებენ. ასეთი წარმომადგენელი დანიშნული უნდა იყოს წერილობითი განკარგულებით, რომელიც ნოტარიულად იქნება დამოწმებული. იგი ნებისმიერ დროს შეიძლება შეცვლილ იქნეს აქციონერის მიერ.

9.8 საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნიასას კი გენერალური დირექტორი. თავმჯდომარე უძღვება კრებაზე საკითხების განხილვას, ადგენს განსახილველი საკითხების თანმიმდევრობას და კენჭისყრის ფორმას.

9.9 საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ” ან ეს წესდება სხვა რამეს არ მოითხოვს. გადაწყვეტილებები, რომლებიც ნოტარიულ დამოწმებას არ საჭიროებენ შესაძლებელია მიღებულ იქნენ წერილობითი გამოკითხვის გზით, თუკი არცერთი აქციონერი არ არის გადაწყვეტილებების მიღების ამგვარი წესის წინააღმდეგი. ყოველ აქციონერს აქვს უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე დღის წესრიგში დამატებითი პუნქტები შეიტანოს. კრების ჩატარების ან მოწვევის ვადის დაცვის საჭიროება აღარ არსებობს თუ აქციონერები ხმათა უმრავლესობით განსახილველი საკითხის თაობაზე წერილობითი გადაწყვეტილების ან წერილობით მოცემული ხმების მეშვეობით თავიანთ თანხმობას გამოხატავენ. აქციონერებს შეუძლიათ აქციონერთა კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ ტელეფონით ან კავშირგაბმულობის სხვა მსგავსი საშუალებებით, იმ პირობით, რომ კრებაზე ყველა პირს შეუძლია მოუსმინოს და გაუგოს ერთიმეორეს. ასეთი სახის მონაწილეობა მიიჩნევა, როგორც კრებაზე ფიზიკური დასწრება.

9.10 საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აისახოს ოქმში. საოქმო ჩანაწერი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას სხდომის ადგილის, დღის და მონაწილეების შესახებ,

ასევე საუბრების არსებით შინაარს, რაც დადგენილი უნდა იყოს დღის წესრიგის პუნქტების და გადაწყვეტილებების მიხედვით. საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი.

9.11 საერთო კრებაზე ხმის უფლება გამომდინარეობს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში აქციონერის არსებული წილიდან. ყოველი ჩვეულებრივი აქცია აძლევს აქციონერს ერთი ხმის უფლებას.

9.12 საერთო კრებაზე წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის უბრალო უმავლესობაა საჭირო შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად:

- საზოგადოების ყოველწლიური სამუშაო პროგრამის დასამტკიცებლად, ასევე იმ გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც ცვლიან საზოგადოების სამუშაო პროგრამებს;

- საზოგადოების მიერ იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულების დადების, შეცვლის და გაუქმებისათვის, როცა ხელშეკრულების ხანგრძლივობა 4 წელზე მეტია;

- გასული სამურნეო წლის წლიური ბალანსის დამტკიცებისათვის;

- მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის წინანადედების მიღებისათვის ან უარყოფისათვის, ასევე იმ შემთხვევისათვის, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას მოგების გამოყენების შესახებ;

- გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დასამტკიცებლად;

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების დასადგენად;

- შესატანების გადახდის მოთხოვნის თაობაზე;

- აუდიტორის და სპეციალური კონტროლიორის ასარჩევად;

9.13 ხმათა 3/4 საჭირო შემდეგი გადაწყვეტილებების მისაღებად;

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ასარჩევად და/ან უფლებამოსილების შეწყვეტისათვის;

- საზოგადოების წესდების ან საზოგადოების ურთიერთობების ცვლილებისათვის;

- სხვა საზოგადოებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილბებეის მისაღებად, ასევე უცხო საწარმოებში მონაწილეობისათვის, სხვა საწარმოთა ან საწარმოთა ნაწილის შესაძენად;

- საზოგადოების ლიკვიდიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის;

X სამეთვალყურეო საბჭო

10.1 სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი და არაუმეტეს ოცადერთი წევრისაგან, რომლის რაოდენობას და შემადგენლობას ადგენს საერთო კრება.

10.2 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საერთო კრების მიერ აირჩევა ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას სამეთალყურეო საბჭოს წევრის

გათავისუფლების შესახებ. წელი, რომელშიც იწყება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება, საერთო ვადაში არ ჩაითვლება.

10.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. სამეთვალყურეო საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად უნდა მოხდეს ახალი წევრის არჩევა. ახალი წევრის უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა გასული წევრისათვის დარჩენილი ვადით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში შემცვლელი წევრის ო ნამდედობაზე ყოფნის ვადა იწურება გასული წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვით, რაც გასტანს არაუგვიანეს იმ უახლესი საერთო კრების დასრულებამდე, რომელზეც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ახალი არჩევნები ჩატარდება.

10.4 სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ან გენერალური დირექტორისადმი მიმართული წერილობითი განცხადების საფუძველზე შეწყვიტონ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება იმ პირობით, რომ განცხადება ორი კვირით ადრე იქნა შემოტანილი.

10.5 თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასულიდან ექვსი თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან გენერალური დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი.

10.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს დირექტორი.

10.7 სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან 10.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით ირჩევს თავის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. არჩევა ხდება იმ საერთო კრების მუშაობის დამთავრებისთანავე, რომელზეც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იქნენ არჩეული. თუ თავმჯდომარის ან მოადგილის ასარჩევად გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდება, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის განაცხადის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც იმყოფება საზოგადოება. იმ შემთხვევაში თუ თავმჯდომარე ან მოადგილე სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეწყვეტენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას, მაშინ სამეთვალყურეო საბჭომ გასულის ნაცვლად ახალი არჩევნები უნდა ჩაატაროს დარჩენილი სამსახურებრივი ვადით.

10.8 სამეთვალყურეო საბჭო თავის ნებას გამოხატავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის მიერ დადასტურებული ხელმოწერით.

10.9 სამეთვლაყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე არის სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი მესამე პირებთან, კერძოდ, სასამართლოსთან და უწყებებთან, ასევე გენერალურ დირექტორთან ურთიერთობაში.

10.10 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.

10.11 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის მიერ სხდომის დაწყებამდე თოთხმეტი დღით ადრე წერილობითი მოსაწვევით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება მოსაწვევის გაგზავნისა და სხდომის ჩატარების დღე. გადაუდებელ შემთხვევაში თავმჯდომარეს შეუძლია

ვადა შეამციროს რვა დღემდე და სხდომა ზეპირსიტყვიერად, ტელეფონით, ტელეტაიპით ან ტელეგრაფით მოიწვიოს. მოსაწვევს თან უნდა ახლდეს დღის წესრიგი და წინადადებანი გადაწყვეტილებების შესახებ.

10.12 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებისუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი; წევრი, რომელიც თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან ითვლება გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილედ. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებისუნარიანი, თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას მოადგილეს შეუძლია, სულ ცოტა სამი დღის განმავლობაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გამოცხადებულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად გადაწყვეტილებისუნარიანი იქნება. გადაწყვეტილების მიღება დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელიც არ იყო შეტანილი მოსაწვევში, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3 -ისა და სამეთვალყურეო საბჭო კენჭისყრის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას საკითხის დღის წესრიგში შეტანისა და განხილვის თაობაზე.

10.13 სხდომას ხსნის და უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარე განსაზღვრავს თანმიმდევრობას, რომლის მიხედვითაც დღის წესრიგში შემავალი პუნქტები უნდა იქნეს განხილული, ასევე კენჭისყრის სახესა და რიგს.

10.14 გადაწყვეტილების მიღება წერილობითი, სატელეგრაფო სატელეფონო ან სატელეტაიპო საშუალებათა გამოყენებით მიწოდებული ხმებით შესაძლებელია, როცა ამას განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე დაადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე და ამასთან ერთად არცერთი წევრი აღნიშნულის წინააღმდეგი არ არის. სატელეგრაფო, სატელეფონო ან წერილობითი ხმის მიცემით მიღებული გადაწყვეტილებანი შემდგომში წერილობითი უნდა დადასტურდეს. სხვა შემთხვევაში შესაბამისად მოქმედებს ზემოთ აღნიშნული დებულებები.

10.15 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებანი და სხდომათა ანგარიშები უნდა დადასტურდეს შესაბამისი სხდომის ხელმძღვანელის, ხოლო 10.14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

10.16 სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა საზოგადოების შესახებ კონფიდენციალური ცნობები და საიდუმლოებანი, სახელდობრ, საწარმოს ან საქმის წარმოების შესახებ საიდუმლოებანი, რაც მათთვის ცნობილი გახდა დაკისრებული მოვალების შესრულების შედეგად, არ უნდა გაახმაურონ. გახმაურების დაუშვებლობის მოვალეობა ეკისრება ასევე იმ პირთ, ვინც სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს ესწრებიან, მაგრამ არ არინ მისი წევრები;

10.17 სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- სამეთვალყურეო საბჭო უწევს ფინანსურ მონიტორინგს გენერალური დირექტორის საქმიანობას:

- სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს გენერალური დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;

- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. საბჭოს შეუძლია ამის განხორციელება დაავალოს მის ცალკეულ წევრს (წევრებს) ან განსაზღვრულ ექსპერტებს:

- სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას საზოგადოების მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას. ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშებისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

- გენერალური დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, ასევე გენერალურ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა;

- სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გენერალური დირექტორთან გარიგების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება და გამოვიდეს საერთო კრების მიერ მიღწეული სადაო სამართლებრივი საკითხების წინააღმდეგ.

10.18 გენერალური დირექტორის ან სხვა მმართველობითი ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს;

10.19 მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა;

- კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ისევე როგორც საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება;

- უძრავი ქონების და უძრავი ქონებრივის მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

- ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

- წლიური ბიუჯეტის, როგორც ბალანსის მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება;

- ინვესტიციები, რომელთა შესყიდვის ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;

- სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

- სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას;

- სამეურნეო დარგებისა და წარმოების სახეების წამოწყება და შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

XI ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

11.1 საზოგადოების ხელმძღვანელობა ევალება გენერალურ დირექტორს;

11.2 გენერალური დირექოტრი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. არჩევისთანავე დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება;

11.3 გენერალურ დირექტორს არა აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება, ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) ან დირექტორის სახით. ასეთ საქმნიანობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით. თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ გენერალურ დირექტორად დანიშვნისას საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ იგი ეწევა ასეთ საქმიანობას და მისი შეწყვეტა აშკარად არ იქნა მოთხოვნილი.

11.4 გენერალური დირექტორი ეწევა საზოგადოების მიმდინარე ხელმძღვანელობით საქმიანობას მოქმედი კანონდებლობის, ამ წესდების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესის შესაბამისად. ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილება, მათ რიცხვს მიეკუთვნება:

- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- სხვა საზოგადოებაში მონაწილეობა, ასევე ფილიალების დაარსება და მათი დახურვა;
- თავდებობისა და თანაპასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე ისეთი ქმედებებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნება საწარმოო საქმიანობას და დარგისათვის უჩვეულო გარანტიებია, ასევე საზოგადოების საკრედიტო მიმართულებების აღება და გაფართოება;
- გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარება 12 თვეზე მეტი ვადით ან საფინანსო ვალდებულებების აღება ბიუჯეტის 10%-ზე მეტი თანხით ამ ურთიერთობათა მოშლის პირველი რეგულარული დროის გათვალისწინებით;
- წლიური ბიუჯეტის დადგენა დაფინანსების, დანახარჯებისა და ინვესტიციების თვალსაზრისით მომავალი სამეურნეო წლისათვის, ასევე მისი მომდევნო სამეურნეო წლების ზოგადი დაგეგმვა; ბიუჯეტი ასევე უნდა შეიცავდეს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებსაც;
- დადგენილი წლიური ბიუჯეტის 10%-ზე მეტი გადახრები დაფინანსების, ხარჯების და ინვესტიციების სფეროში;
- გენერალური სავაჭრო მინდობილობების გაცემა და გაუქმება;

- გარიგებების დადება იმ აქციონერებთან ან მათ წარმომადგენლებთან, რომლებშიც ეს აქციონერები ან აქციონერების წარმომადგენლები წილობრივად მონაწილეობენ;

11.5 საზოგადოების წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს. იგი წარმომადგენლობით უფლებებს განახორციელებს ერთპიროვნულად.

11.6 გენერალური დირექტორი:

- ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას;

- ადგენს საშტატო განრიგს;

- წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

- ნიშნავს და ათავისუფლებს მუშაკებს საშტატო განრიგის შესაბამისად;

- დებს გარიგებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

- ახორციელებს სხვა ხელმძღვანელობით საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შიდაგანაწესის შესაბამისად;

XII წლიური ბალანსი, მოგების გამოყენება

12.1 წლიური ბალანსი დგება მიღებული მოგების და ზარალის ერთობლივი გაანგარიშების, სათანადო წესის შესაბამისად წარმოებული საბუღალტრო წიგნის საფუძველზე, საგადასახადო განაწესებისა და საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით. გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი უნდა იქნეს წარდგენილი ახალი სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში იმდენად დროულად, რამდენადაც გასული წლის სამეურნეო ბრუნვის დასასრული მის შედგენას შესაძლებელს ხდის, რის შემდეგაც იგი ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრებას. იმ შემთხვევაში, როცა წლიური ბალანსი უნდა შესწორდეს (მაგ: საზოგადოების შემოწმების შემდეგ), მაშინ აქციონერთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესწორებულ წლიურ ბალანსს;

12.2 წლიურ ბალანსს ადგენს საზოგადოების გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული სპეციალისტი. წლიური ბალანსი დგება ეროვნული ვალუტით და მას თარიღის მითითებით ხელს აწერს საზოგადოების გენერალური დირექტორი.

12.3 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე აქციონერს წლიური ბალანსის მიმართ საწინააღმდეგო აზრი გააჩნია, მან ის ადგილი, რომლის შესახებაც მას საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვს, წლიური ბალანსის წარდგენიდან არაუგვიანეს ოთხი კვირის განმავლობაში წერილობით უნდა აღწეროს და დაასაბუთოს მისი აზრი. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ იქნება მიღებული.

12.4 წლიური ბალანსიდან გამომდინარე მიღებული შემოსავლების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებენ აქციონერები მას შემდეგ, რაც მოხდება კანონდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა, შემოსავლების გარკვეული ნაწილის აქციონერთა კრების მიერ დადგენილი ოდენობით საზოგადოების სარეზერვო ფონდში, საზოგადოების სხვა ფონდებში ან საზოგადოების მიერ სრული ან ნაწილობრივი ფინანსური მონაწილეობით შექმნილ საწარმო ერთეულებში რეინვესტირება.

12.5 მოგების დარჩენილი ნაწილი ნაწილდება საზოგადოების აქციონერებს შორის დივიდენდების სახით საზოგადოების კაპიტალში მათი წილის პროპორციულად, თუ აქციონერთა შორის სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული.

12.6 საზოგადოების საბუღალტრო წიგნები და საფინანსო საქმიანობა ყოველწლიურად რევიზირებულ უნდა იქნეს საზოგადოების მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორული

ორგანიზაციის ან კონსულტანტის მიერ. შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს საზოგადოება.

XIII საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

13.1 საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გარდაქმნა) ან ლიკვიდაციის გზით.

13.2 საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით.

13.3 საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება აქციონერთა გადაწყვეტილებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის შემთხვევაში.

13.4 საზოგადოების ლიკვიდაციას აწარმოებს საზოგადოების გენერალური დირექტორი რომელიმე აქციონერის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნოს იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

13.5 ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საზოგადოება არსებობს მხოლოდ თავისი საქმიანობის დასასრულებლად, თავისი საკუთრების სალიკვიდაციოდ და მისი კრედიტორებისა და აქციონერების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

13.6 ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, ნაწილდება აქციონერებს შორის წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი. განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუკი არსებული ვითარებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

13.7 თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა აქციონერებს შორის, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ ქონების განაწილება დავის საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

XIV დასკვნითი დებულებები

14.1 ამ წესდებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა მოითხოვს წერილობით ფორმას; ეს მოქმედებს ამ ნორმის მიმართაც. წერილობით გაფორმებული ცვლილებები და დამატებები დამტკიცდება საზოგადოების გადაწყვეტილებით, რომელიც გაფორმდება ოქმის სახით მიღებული წესების შესაბამისად.

14.2 თუ ამ წესდების რომელიმე განსაზღვრება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. უფრო ზუსტად, ბათილი განსაზღვრების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა საზოგადოების დასახული მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

დამტკიცებულია	რეგისტირებულია
აქციონერთა საერთო კრების მიერ	გლდანი-ნაძალადევის
ოქმი N 1	რაიონული სასამართლოს
,,15“ ოქტომბერი 2003 წელი	დადგენილებით 1/5-53
	20.10.2003 წ

სააქციო საზოგადოება

,,ენერგოკავშირი“

ქ. თბილისი
2003 წ.